



## საქართველო

### თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

#### გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 81

20/11/2017

#### თერჯოლის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულ საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-3 ნაწილის თანახმად, №49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენების და თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისიის 2017 წლის 20 ნოემბრის №1 დასკვნის საფუძველზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

**მუხლი 1.** ცნობილ იქნეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მე-4 მოწვევის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილება დანართის მიხედვით.

**მუხლი 2.** ამ განკარგულების პირველი მუხლის საფუძველზე შეწყვეტილად ჩაითვალოს მე-3 მოწვევის (2014-2017 წლების) საკრებულოს უფლებამოსილება.

**მუხლი 3.** განკარგულება გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას შემდგომი რეაგირებისათვის.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 5.** განკარგულება ძალაშია ხელომწერისთანავე.

მერაბ სირაძე

საკრებულოს უხუცესი წევრი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო